

სააღრიცხვო პოლიტიკა

შპს „აგროვიტა“

ბრძანება N1

01 ოქტომბერი 2020 წელი

1. ინფორმაცია „კომპანიის“ შესახებ

შპს „აგროვიტა“ (კომპანია) რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში 17 ივლისს 2008 წელს რეგისტრაციის თარიღი: 17/07/2008

საიდენტიფიკაციო კოდი: 204558102

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონი, ათონელის ქ N 29

კომპანია თავიდანვე დაკავებული იყო მცენარეთა დაცვის საშუალებების იმპორტით და საბითუმო რეალიზაციით ადგილობრივ ბაზარზე და თანამშრომლობდა ცნობილ გერმანულ კომპანია ბასფთან (BASF). წლიდან წლამდე საქმიანობის სფეროს გაფართოვებასთან ერთად გაიზარდა როგორც უცხოელი პარტნიორების და მომწოდებლების რიცხვი ასევე კლიენტებისაც. კომპანიას დაემატა საცალო გაყიდვებიც და 2018 წელს მუშაობდა მისი 10 მაღაზია თბილისსა და რეგიონებში. ამჟამად კომპანია აწარმოებს მცენარეთა დაცვის საშუალებების და სასუქების იმპორტს შემდეგი ქვეყნებიდან. გერმანია, იტალია, საფრანგეთი და თურქეთი. შემოაქვს და რეალიზაციას უკეთებს როგორც ტრადიციულ პროდუქციას რომელიც გამოიყენება სოფლის მეურნეობაში, ასევე ბიო მიმართულების სასუქებს და პრეპარატებს.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს-ის). ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.

3. საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით, რომელიც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების შესრულებას საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობის დროს.



ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური ანგარიშგების მომზადება, საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით, მისაღებია. „კომპანია“ საქმიანობის უწყვეტობის დაშვების შეფასების დროს ითვალისწინებს შემდეგ ფაქტებს:

- კომპანიას გააჩნია ბაზარზე საქმიანობის 11 წლიანი გამოცდილება.
- ჩამოყალიბებულია მჭიდრო კონტაქტები როგორც კლიენტებთან ასევე მომწოდებლებთან.
- კომპანია მომავალშიც გეგმავს საქმიანობის გაგრძელებას.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

უცხოური ვალუტა

„კომპანიის“ სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც „კომპანია“ ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას „კომპანია“ აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ სავალუტო კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თავდაპირველი ღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. როდესაც, პერიოდულად, ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის შეცვლა ხდება აუცილებელი, „კომპანია“ ასეთ ნაწილებს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივად სასარგებლო გამოყენების კონკრეტული ვადით და შესაბამისად არიცხავს ცვეთას. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებების ნაწილის შეცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ „კომპანია“ მიიღებს ამ ნაწილის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ შესაძლებელია მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება.



2019 წელს მოხდა შპს „აგროვიტას“ კუთვნილი უძრავი ქონების ღირებულების შეფასება, შპს „აუდიტისა და შეფასების სახლის“ ს/კ 406171752 მიერ, აღნიშნული ქმედების შედეგად ქონება აფასდა 892979 (რვაასოთხმოცდათორმეტათასცხრაასსამოცდაცხრამეტი)ლარად, რაც შესაბამისად აისახა კუთვნილ ფინანსურ მდგომარეობაში და საქმიანობის შედეგის ფორმებში.

(ii) ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის კლებადი ნაშთის მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება. მიწის ცვეთა არ ხდება.

სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადებია:

შენობა-ნაგებობები	20 წლამდე
მანქანები და მოწყობილობები	5 წლამდე
საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	5 წლამდე
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5 წლამდე

(iii) აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლოატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. „კომპანიის“ შიგნით წარმოქმნილი არამატერიალური აქტივების კაპიტალიზაცია, არ ხდება და ხარჯი აისახება იმ წლის მოგებაში ან ზარალში, რომლის განმავლობაშიც ეს ხარჯი იქნა გაწეული.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა ფასდება 5 წლიან პერიოდზე. (თუ ვადა ვერ განისაზღვრა მსს ფასს-ით ენიჭება 10 წელი) სასრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება სასარგებლო გამოყენების ვადის პერიოდში



და გაუფასურების ოდენობის დასადგენად გადაფასდება მაშინ, როდესაც რამე მიანიშნებს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურებაზე. სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს მინუს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯების ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების და დამუშავების ხარჯს, წარმოების თვითღირებულებას და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

გადასახადები

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადით იზეგრება იმ დამფუძნებლებს შორის დივიდენდების სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, გადახდის ფაქტიური თარიღისა ან პერიოდისგან დამოუკიდებლად. ცალკეულ შემთხვევებში, დაშვებულია გამოქვითვები მოგების გადასახადზე დარიცხვებიდან, რომლებიც აღირიცხება შესაბამის განაწილებაზე მოგების გადასახადზე ხარჯების შემცირების სახით. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებების გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის არ წარმოიქმნება რაიმე გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადი, რომელიც ექვემდებარება გადახდას კომპანიის მესაკუთრეთათვის დივიდენდების განაწილებასთან დაკავშირებით, აღიარებულია კაპიტალში ცვლილებების ანგარიშში გამოქვითვის სახით.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანაზრებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია.



ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხორციელდება, თუ წარსული მოვლენის შედეგად, „კომპანია“ აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომლის წინასწარი შეფასებაც სარწმუნოდ შეიძლება და ვალდებულების დასაფარად შესაძლოა ეკონომიკური სარგებლის გადინება გახდეს საჭირო. ანარიცხის განსაზღვრა ხდება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადების დაბეგვრამდელი განაკვეთით დისკონტირებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გაუქმების აღიარება აღირიცხება როგორც ფინანსური ხარჯი.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ და გრძელვადიანად

„კომპანია“ აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის ვადაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცემა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა სხვა აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ სამუშაო რეჟიმში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას „კომპანია“ გრძელვადიან კატეგორიას მიაკუთვნებს.

შეცდომების გასწორება



კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რეტროსპექტიულად მოხდა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების გასწორება. სავაჭრო მოთხოვნებში დაკორექტირდა და გამოაკლდა შვილობილი ორგანიზაციების მიმართ არსებული სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არასწორად იყო დამატებული საერთო მოთხოვნებს, შესაბამისად შეიცვალა 2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობა და საქმიანობა, ისევე როგორც საკუთარი კაპიტალი და მოგება-ზარალი.

შპს „აგროვიტას“ დირექტორი



/ო. ანდრიაშვილი/

მთავარი ბუღალტერი



/მ. ცოფურაშვილი/

თარიღი: 01 ოქტომბერი 2020 წელი



ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა

31/12/2019 31/12/2018

აქტივები

ფული და ფულის ეკვივალენტები	540944	277093
სავაჭრო მოთხოვნები	2603011	1832771
გადახდილი ავანსები	42554	79563
მარაგები	2586341	3271021
მზა პროდუქცია	2584723	3270734
სხვა	1618	287
საინვესტიციო ქონება	119247	0
სხვა მიმდინარე აქტივები	769701	120887
ბიოლოგიური აქტივები	0	94280
თვითღირებულების მოდელით	0	94280
გადაფასების მოდელით	0	0
გუდვილი	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	63597	0
ძირითადი საშუალებები	2199161	1378672
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	421559	288665
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	104139
სულ აქტივები	9346115	7447091

ვალდებულებები

ფინანსური იჯარის ვალდებულება	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	4606522	6086485
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	9955	4949
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	0	1080
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1168854	2228874
მიღებული გრანტები	320823	320823
სხვა ვალდებულებები	0	129620
სულ ვალდებულებები	6106154	8771831

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპ	210	210
საემისიო შემოსავალი	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	3239751	-1324950
გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა რეზერვები	0	0
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი	3239961	-1324740
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	3239961	-1324740
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	9346115	7447091

[Handwritten signature]



საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები

	2019	2018
ნეტო ამონაგები	18057454	11988437
საქონლის გაყიდვიდან	17828619	11859039
მომსახურების გაწევიდან	51913	9978
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	176922	119420
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-12487616	-9815884
საწყისი მარაგები	0	1565199
მარაგების შესყიდვა	0	11521706
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	5569838	2172553
სხვა შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-699018	-943824
ცვტა და ამორტიზაცია	-123325	-120072
საპროცენტო შემოსავალი:	0	5
საპროცენტო ხარჯი :	-116587	-241133
იჯარის ხარჯი	-245050	-387667
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-342893	-68231
სულ საოპერაციო ხარჯები	-1526873	-1760922
საოპერაციო მოგება	4042965	411631

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:

ფინანსური აქტივები	0	0
მარაგები	0	0
სხვა არაფინანსური აქტივები	892979	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	-371243	-2242381
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	0	192550
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	4564701	-1638200
მოგების გადასახადი	0	0
მოგება/(ზარალი)	4564701	-1638200

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

ძირითადი საშუალებების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასა	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	4564701	-1638200

მოგება/(ზარალი) განკუთვნილი:

მშობელი საწარმოს მფლობელთათვის	4564701	-1638200
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის	0	0
მოგება/(ზარალი)	4564701	-1638200

მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი) განკუთვნილი:

მშობელი საწარმოს მფლობელთათვის	4564701	-1638200
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	4564701	-1638200
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	-1324740	313460
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემ	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3239961	-1324740

[Handwritten signature]



ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან
 წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან
 წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან
 წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში
 სავალუტო კურსის ეფექტი
 ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში
 ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს

2019	2018
263851	277093
0	0
0	0
263851	277093
0	0
277093	0
540944	277093

